მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი №4

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია

თარიღი: 22 აგვისტო, 2025 წელი

დრო: 15:00 საათი

2025 წლის 22 აგვისტოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ:

- მერის პირველი მოადგილე - ზვიად ბაზაძე
- მერის მეორე მოადგილე - მირზა ქოჩიაშვილი
- ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელი - ნინო ხუჯაძე
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი - თამარ ზაალიშვილი

დღის წესრიგი:

1. მისალმება
2. ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების 2025 წლის საქმიანობის ანგარიში
3. კითხვა-პასუხის რეჟიმი

სხდომის თავმჯდომარე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი - მანუჩარ რობაქიძე, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია 2025 წლის განმავლობაში განხორციელებულ მიმდინარე და დასრულებულ პროექტებზე, ღონისძიებებსა და სოციალურ პროგრამებზე.

ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელმა, ნინო ხუჯაძემ, პრეზენტაციის სახით წარმოადგინა 2025 წელს განხორციელებული აქტივობების ანგარიში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა წელს ამოქმედებულ ახალ სოციალურ პროგრამაზე — „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო პროგრამა“, რომელშიც ამჟამად ჩართულია ათამდე ბავშვი, რომლებიც გადიან სარეაბილიტაციო კურსს.

ასევე აღინიშნა, რომ განყოფილება უკვე მესამე წელია ახორციელებს სოციალურად დაუცველი ოჯახების საყოფაცხოვრებო ნივთებით უზრუნველყოფას, რომლის ფარგლებში 2025 წელს დახმარება გაეწია ოცამდე ოჯახს.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიიღეს ამომწურავი პასუხები მათ მიერ დასმულ ყველა კითხვაზე და წარმოადგინეს ახალი, საინტერესო წინადადებები.

ოქმის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე: /მანუჩარ რობაქიძე/

მრჩეველთა საბჭოს მდივანი: /ქრისტინე ბარბაქაძე/